

ურბანული ცხოვრების წესის ცვლილება პოსტ-საბჭოთა სოციო-
ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში სოლოლაკის მაგალითზე

კარლო მეგულაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სოფიკო ზვიადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

კარლო მეგულაშვილი, 2019

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა შეისწავლის ძველი თბილისის ისტორიული უბნის, სოლოლაკის თანამედროვე პრობლემატიკას სოციო-სივრცით განზომილებაში. პრობლემატიკას წარმოადგენს უძრავი ქონების აქტიური კომერციალიზაცია, რომელიც ტურიზმის გავლენით ცვლის უბნის სოციალურ და სივრცით მახასიათებლებს. კვლევაში გამოყენებული მიდგომა ურბანული სოციოლოგიის ეკოლოგიური და პოლიტეკონომიური გაგების ინტეგრაციის გზით, ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებზე. ნაშრომში განხილულია სოლოლაკში შერჩეული ქუჩების ვიზუალური და სივრცითი ცვლილებები, ჯენტრიფიკაცია სოლოლაკში და სოციალური ურთიერთობები სამი ეზოს მაგალითზე.

კვლევის მონაცემების შეგროვება განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიით, კერძოდ შემთხვევის შესწავლის (case study) მიდგომით, დაკვირვებისა და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. შეგროვებული მონაცემების ანალიზის შედეგად, კვლევამ აჩვენა, რომ აქტიური ტურიზმის კონტექსტში ადგილობრივ მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი ობიექტები ჩანაცვლა ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ, სასტუმროებმა და ჰოსტელებმა, ფუნქციის ფართები თბილისურ ეზოებში გარდაიქმნა კომერციულ გასაქირავებელ ფართებად, რამაც გავლენა იქონია მობინადრეების მეზობლურ და სხვა სოციალურ ურთიერთობებზე, შეცვალა მათი ყოველდღიური ინტერაქციის ფორმა და შინაარსი. ჭარბი ტურიზმის და კაპიტალის თავმოყრამ უბანში ხელი შეუწყო ჯენტრიფიკაციას.

საკვანძო სიტყვები: ძველი თბილისი, სოლოლაკი, ტურიზმი, ჭარბი ტურიზმი, კომერციალიზაცია, ჰოსტელიზაცია, ჯენტრიფიკაცია.

Abstract

This study examines the modern problems of Sololaki in the socio-spatial dimension of Old Tbilisi historical district. Problem is the active commercialization of real estate, which changes the social and spatial characteristics of the district. The approach used in the study through the integration of ecological and political economy understanding of urban sociology focuses on political, ecological and cultural factors. The work deals with visual and spatial changes in Sololaki streets, gentrification and social relations on the example of three yards. The survey data was collected using qualitative methodology, in particular the case study approach, using the observation and in-depth interview method. data collected as a result of the analysis, the study showed that in the context of active tourism, calculated objects needed by local population replaced by tourist infrastructure, hotels and hostels, living functional spaces in Tbilisi yards transformed into a commercial rental spaces, thus impacted the neighborhood residents interactions and other social relations, changed their daily interaction of form and content. The surplus of tourism and capital contribution to the district's concentration promoted gentrification.

Key words: Old Tbilisi, Sololaki, touris, overtourism, commercialization, hostelisation, gentrification